ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

3 ივნისი, კვირა, 1989 წ.
№ 103 (10 272) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# ფიზიკური კულტურა და სპორტი—ერის სამსახურში!

## „ლელოს" რედაქცია ეკითხება საქართველოს პროფკავშირების დარგობრივი რესპუბლიკური კომიტეტების თავმჯდომარეებს:

1. როგორც იქნა დადგა დრო და პროფკავშირები მთლიანად თავისუფლდებიან დიქტატისაგან. სხვა მნიშვნელოვან ძვრებთან ერთად საქართველოს ეკონომიკური წინსვლაც ესაჭიროება. ეკონომიკის წინსვლა კი პირდაპირ კავშირშია მშრომელთა ჯანსაღების პრობლემების გადაჭრასთან. რა როლს ანიჭებთ დარგის მშრომელების ჯანმრთელობის განმტკიცების საქმეში ფიზიკურ კულტურასა და სპორტს?

2. შრომით კოლექტივებში წლების მანძილზე ჩამოყალიბდა მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის სტერეოტიპი, მეტწილად უსაქმობის სტერეოტიპი. როგორ ფიქრობთ, უნდა შეიცვალოს თუ არა ამ მიმართებით მუშაობის ორგანიზაცია და როგორ, თვლით თუ არა, რომ ამ საკითხში ფიზკულტურის კოლექტივებს და სპორტულ კლუბებს უნდა მიეცეთ სრული თვითმმართველობა და ბოლო უნდა მოეღოს ზემოდან ამა თუ იმ ღონისძიების ჩატარების კარნახს? იზიარებთ თუ არა აზრს იმის შესახებ, რომ ყველა დარგმა მხოლოდ მუშაკთა შრომის სპეციფიკის მიხედვით, თავად მეცნიერების დახმარებით, უნდა შეარჩიოს ფიზიკური გაჯანსაღების საშუალებები და ფორმები?

3. რედაქციაში უამრავი ცნობა მოდის იმის თაობაზე, რომ შრომით კოლექტივებში (მათ შორის სოფლად) ამცირებენ ფიზკულტურის მეთოდისტის შტატებს. მუშავდება თუ არა თქვენს დარგში რაიმე ღონისძიება ამ პროცესის შესაჩერებლად ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკთა ინტერესების დასაცავად? ამასთან, გთხოვთ გვიპასუხოთ, თქვენი გავლენის სფეროში შემავალ ორგანიზაციებში რამდენი ფიზკულტურის მეთოდისტი ემსახურებოდა ადამიანების გაჯანსაღების საქმეს 1985 წელს და რამდენი ემსახურება ამჟამად?

4. რა ღონისძიებები გატარდა ან გატარდება ადგილებზე ფიზკულტურული ორგანიზაციებისა და სპორტული კლუბების მატერიალურ-სპორტული ბაზის განსამტკიცებლად, მოხდა თუ არა ცვლილებები დაფინანსებაში, სპორტული ბაზების ქსელის გაფართოების, დასვენების ზონების, აღდგენითი ცენტრების და ა. შ. მოწყობის საქმეში, კვლავ რჩება თუ არა აუთვისებელი თანხები შრომით კოლექტივებში მხოლოდ იმის გამო, რომ დღემდე არ მოხსნილა შეზღუდვა გადარიცხვით სპორტული საქონლის შეძენაზე?

5. დამოუკიდებლობის მოპოვებამ ბუნებრივია კეთილნაყოფიერი გავლენა უნდა მოახდინოს მთელი პროფკავშირული საქმიანობის ახლებურად გააზრებაზე, მათ შორის ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომ განვითარებაზეც. პროფკავშირების შესაძლებლობები და საშუალებები, როგორც მორალური, ისე მატერიალური, უფრო ეფექტურად უნდა ჩადგეს მშრომელთა ჯანსაღების სამსახურში. რა გზებით აპირებთ მომავალში ამ ამოცანის განხორციელებას და როგორ გესახებათ ამ მიმართებით პროფკავშირების სპორტსაზოგადოება „შევარდენთან" ურთიერთობა?

6. თავისი სოციალური ფუნქციით პროფკავშირები, ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის თვალსაზრისით, უპირველეს ყოვლისა მშრომელთა ჯანსაღების პრობლემის გადასაწყვეტად არის მოწოდებული, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირები საერთოდ თავისუფლდებიან ე. წ. დიდი სპორტისადმი ზრუნვისაგან. ეს საკითხი კიდევ უფრო მეტ აქტუალობას იძენს დღეს, ქართული ეროვნული სპორტის სრული სუვერენიტეტისათვის ბრძოლის პერიოდში.

როგორ მიგაჩნიათ, რა წვლილი უნდა შეიტანოს საქართველოს თავისუფალმა პროფკავშირებმა რესპუბლიკის სპორტული ტრადიციების ღირსეულად გაგრძელებისა და მისი პოზიციების შემდგომი განმტკიცების საქმეში?

საქართველოს X სპარტაკიადა

# ერთით მეტი ლელო...

მარტვილის გუნდი ჩემპიონია!

ჯერ კიდევ ზონალური შეჯიბრებების დაწყებამდე ვისთვისაც უნდა გეკითხათ, საქართველოს X სპარტაკიადის ლელობურთელთა ტურნირის ფინალურ მატჩში ვინ ითამაშებსო, პასუხს ერთს მიიღებდით: ჩოხატაური და მარტვილი. კარგა ხანია, ლელობურთში პირველობა ამ რაიონების გუნდების შინაურ საქმედ იქცა. გამონაკლისი არც წელს მოხდა — საუკეთესოს სახელს კვლავ ეს გუნდები შეეცილნენ ერთმანეთს.

ფინალურ მატჩზე იტყვიან ხოლმე, შეხვედრა დაძაბულად წარიმართაო. ზოგჯერ ეს ზოგადი ფრაზა გახლავთ, ამ გუნდების ნებისმიერ მატჩზე კი ნურას უკაცრავად — დაძაბულობისა და დასაშვების ზღვარი ბეწვივით წვრილდება. ამიტომ იყო, რომ შეხვედრის მთავარ მსაჯს, ლანჩხუთელ ჯემალ დიასამიძეს ხშირად უხდებოდა თამაშის შეჩერება და მოთამაშეთა დაშოშმინება.

პირველ ნახევარში ჩოხატაურელებმა იმარჯვეს. ისინი უფრო აზარტულად და გონივრულად უტევდნენ და ექვსი ლელოც გაიტანეს. მარტვილელებმა მხოლოდ სამით უპასუხეს. მეორე ტაიმში ვითარება საპირისპიროდ შეიცვალა — ჩოხატაურელებს აშკარად დაეტყოთ დაღლა, მარტვილელები კი უფრო შეწყობილად და მძლავრად ამოქმედდნენ. ამას მეორე ნახევრის ანგარიშიც ადასტურებს — მარტვილის გუნდმა ხუთი ლელო გაიტანა, გაშვებით კი მხოლოდ ერთი გაუშვა. საბოლოოდ, ამ ტრადიციულ მეტოქეთა მატჩში გაიმარჯვეს მარტვილელებმა — 8:7 და საქართველოს X სპარტაკიადის ჩემპიონის წოდება დაიმსახურეს. გამარჯვებულთაგან ლელო გაიტანეს კოტე ჭილაიამ (4), ალექსანდრე გრიგალავამ, ირაკლი ჯიქიამ, ზვიჩა გვილავამ და კირილე გაბუნიამ.

საქართველოს სპორტსახკომმა მარტვილელი ლელობურთელები სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვა. ყველაზე ასაკოვანი



მონაწილისათვის განკუთვნილი პრიზი (300 მანეთი), რომელიც დააწესა ვარკეთილის მეურნეობამ, გადაეცა ჩოხატაურელ თემურ მეგრელიშვილს. საქართველოს სპორტსახკომის ვარკეთილის სასწავლო-საწვრთნელი ცენტრის დირექციის საგანგებო პრიზი — პირველი ლელოს გატანისთვის — მიიღო ჩოხატაურელმა დავით სიხარულიძემ.

ლელობურთელთა ამ მატჩის ყველაზე გულმხურვალე გულშემატკივრები საქართველოში სტუმრად მყოფი უტრეხტის უნივერსიტეტის მორაგბეთა გუნდის წევრები იყვნენ.

„თქვენი ლელო მშვენიერი თამაში ყოფილა—ძალისმიერი, ვაჟკაცური— გვითხრეს ჰოლანდიელებმა. — გავიგეთ, რომ უძველესი ხალხური სახეობა ყოფილა, ასე რომ, რაგბის თქვენში ნოყიერი ნიადაგი დახვედრია. ერთი რამ განსაკუთრებით მოგვეწონა: რაგბისგან განსხვავებით, ეს თამაში უფრო თავისუფალი, ნაკლებად შეზღუდულია ათასგვარი წესებით, ეს კი მოთამაშის ინდივიდუალურ მოქმედებას მეტ სილაღეს ანიჭებს. რახან მოსაწონებელზე ვთქვით, იმასაც გეტყვით, რა არ მოგვეწონა — ძალიან გაგვაკვირვა იმან, რომ მოთამაშეები ასე აგდებულად ეპყრობიან მსაჯს".



თ. შენგელია.

# მესამე წრე: კვლავ ფავორიტთან

პარიზი. ჩოგბურთში საფრანგეთის ღია ჩემპიონატის მონაწილენი შეხვედრებს უთანაბროდ ატარებენ. ზოგმა ჩოგბურთელმა ეს-ეს არის დაამთავრა მეორე წრის მატჩი, ზოგმა კი უკვე მეოთხე წრეში თამაშის უფლება მოიპოვა. დაწინაურებულთა შორისაა მოსკოველი ანდრეი ჩესნოკოვი, რომელმაც მესამე წრეში ესპანელ ხორხე არესეს სძლია — 7:5, 6:4, 6:2.

ჩვენ უკვე ვიტყობინებოდით, რომ თბილისელი ლეილა მესხი მესამე წრეში გავიდა. ეს მოხდა ლვოველ ლარისა სავჩენკოსთან გამარჯვების შემდეგ. უფრო სწორად, მესხი პირველ პარტიას იგებდა ანგარიშით 3:0, როცა სავჩენკომ უარი თქვა ბრძოლის გაგრძელებაზე. ვარაუდობენ, რომ მას ხერხემლის ტრავმამ გაუხსენა.

თბილისელ ოსტატს მესამე წრეში ისევ ფავორიტთან მოუხდება ბრძოლა. ამჯერად მისი მეტოქე იქნება იუგოსლაველი მონიკა სელეში, რომელმაც ორიოდე კვირის წინ მსოფლიოს პირველი ჩოგანი შტეფი გრაფი დაამარცხა და ახლაც საფრანგეთის ღია ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტად ითვლება.

ამ ბოლო ერთი თვის მანძილზე რამდენჯერმე მოგვიხდა საუბარი იმის შესახებ, რომ დიდ საერთაშორისო ტურნირებში მესხს არ წყალობს ბედი და კარგად აღებული სტარტის შემდეგ უსათუოდ რომელიმე ფავორიტს უნდა შეხვდეს. ასე იყო ჰამბურგის ტურნირზე, როცა მესხს მესამე წრეში წინ აღუდგა ამერიკელი მარტინა ნავრატილოვა. ასე იყო დასავლეთ ბერლინში: ისევ მესამე წრე და ისევ მსოფლიოს უძლიერესი ჩოგბურთელი, დასავლეთგერმანელი შტეფი გრაფი. ახლაც ასეა. მესამე წრეში ლეილა მესხს მონიკა სელეშთან მოუწევს ბრძოლა.

# ზურაბ აზმაიფარაშვილი ლიდერთა შორისაა

ჭადრაკში მსოფლიოს თასის მეორე გათამაშების შესარჩევი ფინალური ტურნირის დამთავრებამდე სამი ტურიღა დარჩა. მერვე ტურის შემდეგ ლიდერობა დაიბრუნა ახალგაზრდა მოსკოველმა დიდოსტატმა ევგენი ბარეევმა. ეს მოხდა მას მერე, რაც ბარეევმა შავებით გამოცდილი უნგრელი დიდოსტატი ლაიოშ პორტიში დაამარცხა.

ბარეევს ახლა 6 ქულა აქვს, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იძლევა თორმეტი საგზურიდან ერთ-ერთის მოპოვების ნაღდ გარანტიას (უფრო ზუსტად ხუთიდან ერთ-ერთი ვაკანსიისა, ვინაიდან საბჭოთა მოჭადრაკეებს სწორედ ხუთი საგზური აქვთ გამოყოფილი. დანარჩენს კი უცხოელი მოჭადრაკეები გაინაწილებენ. ბარეევს კვალდაკვალ მიჰყვებიან თანაგუნდელები, თანაც საკმაოდ გამოცდილი დიდოსტატები.

ჯერჯერობით სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზეა ინგლისელი ჯონათან სპილმენი, რომელიც ლიდერს ნახევარი ქულით ჩამორჩება. მერე კი 5-5 ქულით მოდის მოჭადრაკეთა კვარტეტი ზურაბ აზმაიფარაშვილის, ბორის გელფანდის, ალექსანდრე ხალიფმანისა და პორტიშის შემადგენლობით. 4,5-4,5 ქულა აქვთ ალექსანდრე ბელიავსკის, მიხეილ გურევიჩს, ლევ ფსახისს (ისრაელი), ნიკ დე ფერმიანს (აშშ), მიურეი ჩანდლერს (დიდი ბრიტანეთი), ალექსანდრე ჩერნინს, ვიაჩესლავ ეინგორნს. გარდა ამისა, არის კიდევ რამდენიმე გადადებული პარტია, რომელთა დამთავრება მეტ სიცხადეს შეიტანს ლიდერთა განლაგებაში.

ამ დღეებში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილა ობოლი და მშობლების ზრუნვას მოკლებული ბავშვების, საბავშვო სახლებისა და სკოლა-ინტერნატების აღსაზრდელთა მატერიალური უზრუნველყოფის დამატებითი ღონისძიებების საკითხი და მიიღო დადგენილება. წუნეთის ბავშვთა სახლის შესახებ წერილს მე-2 გვერდზე გთავაზობთ.

# ყველა პრიზიორი—ნაკრებში

ამჟამად 5 ქართველი კლასიკური სტილის მოჭიდავე ემზადება ჭაბუკთა საერთაშორისო შეჯიბრებაში („მეგობრობა-90") მონაწილეობის მისაღებად. მათ ეს უფლება მოიპოვეს შესანიშნავი გამოსვლით მოსკოვში გამართულ საკავშირო ტურნირზე. ეს შეჯიბრება, როგორც ხედავთ, შესარჩევი ასპარეზობა იყო და ამიტომ მან უამრავ მონაწილეს მოუყარა თავი — მოსკოვის სარბიელზე 340(!) ნორჩი მოჭიდავე ცდიდა ძალას.

საქართველოს სამი წარმომადგენელი წარმატებით გაუმკლავდა ყველა მეტოქეს და მათ დამსახურებულად მოიპოვეს პირველი ადგილები: 81 კგ წონით კატეგორიაში უძლიერესი იყო თბილისელი გოჩა ციციშვილი („შევარდენი", მწვრთნელი — ოთარ ტატიშვილი), 97 კგ წონაში — ასევე თბილისელი ზვიჩა მეფარიშვილი („მართვე", თემურ ყაზარაშვილი), მძიმე წონაში კი ყველას აჯობა ქუთაისელმა გიორგი სალდაძემ („დინამო", ვ. ბოყოველი).

97 კგ წონაში ვერცხლის მედალი დაიმსახურა ჩვენი გუნდის წევრმა ბაკურ გოგიტიძემ, ხოლო კობა ჭიჭეიშვილი (88 კგ) მესამე ადგილზე გავიდა.

ოჯახის და მშობლების ზრუნვას მოკლებულ ბავშვებს — საერთო ყურადღება!

# ბავშვები კი ელიან...

წყნეთის ბავშვთა სახლი. დიდი რკინის ჭიშკრის იქით არის ამ პატარების სამყარო. აქედან იწყება მათი ოცნებები, იბადება იმედი, რწმენა... ერთი შეხედვით კი ყველაფერი ჩვეულებრივადაა, აგერ აღმზრდელს მაგნიტოფონი ჩაურთავს და პატარა ოთახში, რომელიც დარბაზის მოვალეობას ასრულებს, ბავშვები ცეკვავენ. სხვაგან ტელევიზორს უყურებენ. ზოგი გარეთ თამაშობს, მაგრამ ვის ესმის მათი კისკისი, ჟრიამული... თითქმის უხმოდ თამაშობენ, გარეგნულად ერთმანეთს არ ჰგვანან, მაგრამ თვალები თითქოს ყველას ერთნაირი აქვს: დიდი, სევდიანი, ჩუმჩუმად დეიდა მზიას ოთახის კარებისაკენ გაიხედავენ, სადაც ორიოდე ქალი პიანინზე იცდის. პატარებმა იციან, რომ ისინი ვიღაცის დედიკოები უნდა გახდნენ, მაგრამ ვისი? დგანან და წლობით ელიან თავიანთ „ჯერს".

მზია კიწმარიშვილი (ბავშვთა სახლის დირექტორი): „ამ გოგო-ბიჭებს რომ ვუყურებ, გული მიკვდება, თითქოს არაფერი აკლიათ, მაგრამ ხომ იცით, საკუთარი სახლის, მშობლებისა და ახლობლების სითბოს ვერ შეცვლი. ამბობენ, სიცოცხლეს მაშინ აქვს აზრი, როცა სიყვარულის სხივით არის გამთბარიო, მზრუნველობა, აკი გითხარით, ამათაც არ აკლიათ, მაგრამ ამ ბავშვებს სხვანაირი სიყვარული უნდათ, ისეთი, მარტო დედას რომ შეუძლია.

დღეს დარია და ბავშვები გარეთ არიან, ეზოში. სირბილში ავიწყდებათ თავიანთი დარდი. უამინდობის დროს კი ყველანი თავის ოთახში სხედან და მოთმინებით უცდიან გამოდარებას. ოთახები კი იმდენად პატარაა, რომ იქ თამაშის საშუალებაც ძლივს აქვთ. **დილის გამამხნევებელი ვარჯიშიც ვერხად ჩაგვიტარებია, ხელის გასაქნევი ადგილი არა გვაქვს.** არაფერს ვამბობ ფიზკულტურის გაკვეთილზე, რომელიც თითქმის არ ტარდება. სპორტულ შეჯიბრებას ან რაიმე სხვა ღონისძიებას გარეთ თუ გავმართავთ.

აქვე, ჩვენსავე ტერიტორიაზე, **საშენ მასალათა სამეცნიერო გაერთიანებას უნდა აეშენებინა მარტივი ტიპის სპორტული კომპლექსი საჭყუმპალაოთი.** მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ „უნდა გაკეთდეს" მესმის. საშენ მასალათა სამეცნიერო **გაერთიანება წყნეთის ბავშვთა სახლს შეფობს.** აქ თუ რამეა გაკეთებული, ყველაფერი მათი თაოსნობითაა. № 3 ბავშვთა საავადმყოფოსაც შეფობენ, რათა ჩვენს ბავშვებს, საჭიროების შემთხვევაში, ყოველგვარი შეფერხების გარეშე უმკურნალონ. ამიტომაც მოულოდნელი იყო მათი ასეთი გულგრილობა".

ჯუანშერ მხეიძე (გაერთიანების დირექტორი): „უკვე წელიწადია, რაც ამ ადგილზე დამნიშნეს. კაბინეტიდან პირველად საბავშვო სახლის მოსანახულებლად გამოვედი. მას შემდეგ ყოველი თვის თხუთმეტ რიცხვში საჩუქრებით დატვირთულები ავდიოდით მათთან. აქვე ვიგებდით, რა უჭირდათ, რა ულხინდათ და შეძლებისდაგვარად ვეხმარებოდით, არაფერზე გვითქვამს უარი. ტრანსპორტიც გამოვუყავით, რომ ბავშვებს პეტრიაშვილის ქუჩაზე ტანვარჯიშის სკოლაში ევლოთ. დადიოდნენ კიდეც და როგორც ვიცი, მწვრთნელებიც კმაყოფილები ყოფილან და ბავშვებსაც ძალიან უხაროდათ. შემდეგ, არ ვიცი რატომ, თვითონ მასწავლებლებმა უარი თქვეს თბილისში სიარულზე. გვთხოვეს სამრეცხაოსა და სპორტული სკოლის აშენება, მაგრამ რადგანაც ახლა თვითდაფინანსებაზე გადავედით, ეს ვერ შევძელით, მოგეხსენებათ, ამ დროს ყოველი მანეთი დათვლილი უნდა გქონდეს. საჭყუმპალაოსა და მარტივი ტიპის სპორტული კომპლექსის აშენებას კი შევძლებდით. პოლოსდაბოლოს, კეთილი გულით კაცი ყველაფერს გააკეთებს. მაგრამ ამის შესახებ არავის უთხოვია, არც სიტყვიერად უთქვამს ვინმეს და არც პროექტი გადმოუციათ. იქნებ ჩვენთან — მოიფიქრეს ყველაფერი, შეთანხმებით მაინც რომ უნდა შევთანხმებინათ?..

ესეც ასე! ერთნი ამბობენ — არ გვიშენებენო, მეორენი კი — არაფერი გვითხრესო. იქნებ სახალხო განათლების სამმართველოში გაგვცენ პასუხი?..

ალექსანდრე რაშუპკინი (სამმართველოს უფროსის მოადგილე): „წყნეთის ბავშვთა სახლში მართლაც უნდა აშენდეს აუზი და სპორტული დარბაზი. პროექტი კაპიტალური მშენებლობის გაერთიანებამ დაუკვეთა ზონალური კვლევის ინსტიტუტს. მაგრამ, სამწუხაროდ, მისი შემუშავება ჯერ დაწყებულიც არ არის, თუმცა არქიტექტორებისათვის ასეთი იოლი პროექტის სწრაფად გაკეთება დიდ სირთულეს არ უნდა წარმოადგენდეს. იმედი მაქვს, ისინი ყურად იღებენ ჩვენს თხოვნას, რაც შეიძლება მალე მოგვაწოდონ ნახაზები, რომ მშენებლობაც დროზე დავიწყოთ"...

მოკლედ, უფროსები კამათობენ, ოთხმოცდაშვიდი ბავშვი კი მათ იმედზეა.

**მანანა ხოსელია.**





## „ოქროს საწმისი" — მესამედ

**საქართველოში** რომ კულტურიზმის პოპულარობა დღითიდღე იზრდება, ამაზე მეტყველებს თუნდაც მაყურებელთა ის დიდი რაოდენობა, რომელიც დაესწრო მესამე საერთაშორისო ტურნირს — „ოქროს საწმისი". საქართველოს პროფკავშირების სასახლის 1000-კაციანი დარბაზი ხალხს ვერ იტევდა.

ტურნირი „ოქროს საწმისი" ჩაატარეს საქართველოს კულტურიზმის ფედერაციამ და საქართველოს სპორტსახკომმა. ჩვენს დედაქალაქში ასპარეზობდნენ კრაკოვის, მოსკოვის, კიევის, ლუგის, ჩელიაბინსკის, ნარვას, გლადიკავკაზისა და თბილისის ათლეტები, შეჯიბრება საერთაშორისო წესებით ჩატარდა.

პირველ დღეს გამოვლინდნენ წონით კატეგორიებში გამარჯვებულები და პრიზიორები, ხოლო მეორე დღეს ცნობილი გახდა ტურნირის აბსოლუტური ჩემპიონი. 70 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში გამარჯვება მოიპოვა 17 წლის თბილისელმა ათლეტმა ზურაბ ნებიერიძემ, 80 კილოგრამამდე მოასპარეზეებში პირველი იყო მოსკოველი სერგეი ბალაბაევი, 90 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში მსაჯებმა გამარჯვება მიაკუთვნეს მოსკოველ ჯალილ იუსუპოვს, ხოლო ლუგელი ალექსანდრ ვასინი საუკეთესო იყო 90 კილოგრამის ზევით წონით კატეგორიაში. მან აგრეთვე მოიპოვა მაყურებელთა სიმპათიის პრიზი. კიდევ ერთმა თბილისელმა სპორტსმენმა ზაზა ბერაძემ ისახელა თავი. იგი 90 კგ კატეგორიაში მესამე ადგილზე გავიდა.

„ოქროს საწმისის" აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულის მფლობელად მსაჯებმა ერთხმად მოსკოველი სერგეი ბალაბაევი დაასახელეს. აქვე მოვიხსენიებთ იმ ორგანიზაციებს, რომელთაც პრაქტიკული დახმარება გაუწიეს საქართველოში ახლად ფეხადგმულ სპორტის ამ საინტერესო სახეობას: ათლეტიზმის კლუბი „ეტალონი", საგარეო ეკონომიური სარეკლამო სააგენტო „მიმინო", გაერთიანება „თბილხილწყალი", საწარმოო გაერთიანება „თეთრონი" და ებრაელთა სპორტული კლუბი „მაკაბი". გამარჯვებულებს პრიზები გადასცა საქართველოს კულტურიზმის ფედერაციის პრეზიდენტმა რობერტ ურჯუმელაშვილმა.

**ანდრია კარბელაშვილი.**

* * *

**სურათებზე:** მარცხნივ — 70 წონით კატეგორიაში გამარჯვებული თბილისელი ზურაბ ნებიერიძე; ტურნირის ერთი ეპიზოდი.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

## მხოლოდ ტექნიკური შედეგები

„**ლელოს**" 26 მაისის ნომერში საქართველოს, მოლდავეთისა და აზერბაიჯანის მძლეოსანთა ტრადიციული მატჩისადმი მიძღვნილი წერილი გამოქვეყნდა. დღეს გთავაზობთ ამ ასპარეზობის ტექნიკურ შედეგებს:

**ქალები. რბენა. 100 და 200 მ.** თ. შანიძე — 11,70 და 23,97. **400 მ.** მ. ხიდაშელი — 54,62. **800 მ.** ე. თევზაძე — 2.13,89. **1500 და 3000 მ.** ი. **გაზაევა** (ყველა — საქართველო) — 4.56,26 და 10.43,51. **4X100 მ. საქართველო** — 47,4.

**თარჯრბენი. 100** მ. ე. კოლესნიკოვა (აზერბაიჯანი) — 14,0. **400 მ.** ა. ბოლოვანია (მოლდავეთი) — 59,0.

**ხტომა: სიგრძეზე.** ტ. პოლიაკოვა (აზერბაიჯანი) — 5,44 მ. **სიმაღლეზე.** ლ. ბოლშოვა (მოლდავეთი) — 190 სმ.

**ბირთვი.** ე. ერუსოვა — 16,71 მ. **ბადრო.** ნ. ონაშვილი (ორივე — საქართველო) — 55,44 მ. **შუბი.** ო. კოვალნიჩენკო (მოლდავეთი) — 52,52 მ.

**ვაჟები: რბენა. 100 მ.** ა. შჩერბაკოვი — 10,57. **200 და 400.** ე. მახმედბეკოვი (ორივე — აზერბაიჯანი) — 21,76 და 48,44. **800 და 1500 მ.** ო. ხოხლოვი (საქართველო) — 1.53.40 და 3.52,47. **3000 და 5000 მ.** ი. კრენცელი (აზერბაიჯანი) — 8.38,81 და 14,59,03. **4X100 მ.** საქართველო — 41,30.



**თარჯრბენი. 110 მ.** ვ. ვასილიევი — 14,23. **400 მ.** ი კალიმოვი (აზერბაიჯანი) — 53,01. **2 კმ წინაღობებით.** შ. ნადირაძე — 6.00,49.

**ხტომა: სიმაღლე.** ა. შევჩენკო — 222 სმ. **სიგრძე.** ს. პოდგაინი — 779 სმ. **ჭოკი.** ი. ქუკოვი (სამივე — მოლდავეთი) — **575 სმ. სამხტომი.** ა. პომოროვი (აზერბაიჯანი) — 15,98 მ.

**ბირთვი.** გ. უშიკიშვილი — 17,00 მ. **ბადრო.** ს. დევიატკინი — 54,22 მ. **შუბი.** მ. კუძიევი — 70,60 მ. **ურო.** ი. შავერდაშვილი (ყველა — საქართველო) — 74,22 მ.

**სურათზე:** დისტანციაზეა ო. ხოხლოვი (№ 1).



## ჩემპიონი, ჩემპიონის შვილი

**ორასამდე** ნორჩ (13-15 წლის) მძლეოსანს მოუყარა თავი თბილისში მოსწავლეთა რესპუბლიკურმა პირველობამ. უძლიერესთა გუნდურ შეჯიბრებაში, ცხადია, ვერავინ გაუწია მეტოქეობა თბილისის ორ ნაკრებს, რომლებმაც შესაბამისად პირველი და მეორე ადგილები დაიკავეს. თავი გამოიჩინა აგრეთვე ოზურგეთის გუნდმა, რომელმაც შეძლო მესამე ადგილზე გასვლა.

გაცნობებთ პრიზიორი გუნდების ვინაობას სხვა ქვეჯგუფებშიც:

II ქვეჯგუფი. 1. ხობი; 2. ქარელი; 3. რუსთავი.

III ქვეჯგუფი. 1. ყვარელი; 2. ჭიათურა; 3. ბორჯომი.

• • •

**სურათზე:** სიგრძეზე ხტომასა და სამხტომში გაიმარჯვა სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის ვიქტორ სანეევის ვაჟმა ალექსანდრემ.

ვიქტორ ბუკიას ფოტო.

## ცელეცაიკა — მკითხველს

**პარიზი.** მსოფლიო ჩემპიონმა ავტორბოლაში „ფორმულა-1", ფრანგმა ალენ პროსტმა, რომელიც „ფერარის" გუნდის ღირსებას იცავს, ქალაქ ლე-კასელეს ტრასაზე წინასწარ შეჯიბრებაში საუკეთესო დრო აჩვენა. 3,8 კილომეტრიანი წრე 1 წუთსა და 03,810 წამში დაფარა. ეს ტრასის ახალი რეკორდია. მეორე შედეგი ჰქონდა ბრაზილიელ აირტონ სენას („მაკლარენი") — 1.03,920.

**ბონი.** ტყვიის სროლაში მსოფლიო თასის პირველივე დღე ახალი მსოფლიო რეკორდით აღინიშნა. ბულგარელმა ვესელა ლეჩევამ შაშხანის სროლაში 684,4 ქულა დააგროვა და თავისივე მსოფლიო რეკორდი, 2,1 ქულით გააუმჯობესა.

**რომი.** ველოსიპედისტთა მრავალდღიანი ველორბოლის „ჯირო დ' იტალიას" მე-15 ეტაპი მოიგო ფრანგმა ერიკ ბუაიემ. 226 კილომეტრიანი სამთო ეტაპი მან 6:16.14-ში გაიარა. რბოლას კვლავ იტალიელი ჯანი ბუიო ლიდერობს.

**რიგა.** ფრენბურთელთა მსოფლიო ლიგის გათამაშების საპასუხო მატჩი სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრებმა მოუგო იაპონიის გუნდს ანგარიშით 3:0.

● **16 წლის** ფრანგი ფიგურისტი სურია ბონალი, სპეციალისტების აზრით, უსათუოდ მოხვდება გინესის რეკორდების წიგნში. მან ერთერთი შეჯიბრების დროს ოთხმაგი ბრუნი შეასრულა, ილეთი, რომელსაც მსოფლიოში სულ რამდენიმე მამაკაცი თუ ფლობს.

## თასი — მეთერთმეტედ

**კარაკასი.** აქ დამთავრდა მსოფლიო თასის გათამაშება სამბოში. გამარჯვება მეთერთმეტედ საბჭოთა ათლეტებს დარჩათ. ორი დღის მანძილზე გამართულ ბრძოლაში საბჭოთა სამბისტებს არც ერთი შეხვედრა არ წაუგიათ. ქვეყნის ნაკრების ღირსებას ამ ტურნირში იცავდნენ: ვიქტორ ტიხონოვი (ფრუნზე), ალექსი არხიპოვი (კუსტოვო), კამრან მამედოვი (მოსკოვი), ოლეგ დოლგიშევი (სმოლენსკი), ვასილ შვაია (კრასნოკამსკი), ჰუსეინ ხაიბულაევი (კრასნოდარი), იგორ სიდორკევიჩი, იგორ სმირნოვი (ორივე — მოსკოვი), ვლადიმერ ემელიანოვი (მინსკი).

გუნდურ ჩათვლაში მეორე ადგილი ხვდათ აშშ-ს, მესამე — ესპანეთის ათლეტებს.

# საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## უმაღლესი ლიგა

**„გურია“ (ლანჩხუთი) — „ბათუმი“ (ბათუმი) 0:0**

ლანჩხუთი. ცენტრალური სტადიონი. 1 ივნისი.

„გურია“: ქანთარია, გუჯაბიძე, ჩხაიძე, დანელია, მაჟეიკასი, ცომაია, ბაკურაძე, ტყებუჩავა, ფრიდრიკასი, ფრიდონაშვილი, ხურცილავა (უგრელიძე).

„ბათუმი“: მამინაშვილი, გოგიტიძე, მჭედლიშვილი, დურდიაძე, კიკლიაშვილი, ზედანია (უჯმაჯურიძე), მ. მახარაძე, შეყილაძე, შანიძე, ტულუში, მაისურაძე (ი. მახარაძე).

მსაჯები: გ. ხეფიაშვილი, ტ. ნიშნიანიძე (თბილისი), მ. კობიაშვილი (დუშეთი).

გააფრთხილეს ცომაია.

**ლანჩხუთელი** და ბათუმელი ფეხბურთელები გათამაშების ცხრილში მეზობლად იმყოფებიან და ამიტომაც მათი შეხვედრა საინტერესოდ უნდა წარმართულიყო. ასეც მოხდა — გუნდებმა ყველა ღონე იხმარეს, რათა მაყურებლისთვის კარგი თამაში ეჩვენებინათ. შეხვედრის დასაწყისი მასპინძელთა იერიშებით წარიმართა, ბურთის გატანა შეეძლო ტყებუჩავას, ფრიდონაშვილს, ფრიდრიკასს, მაგრამ საბოლოო დარტყმები არაზუსტი იყო. ბათუმელები კონტრშეტევებით მოქმედებდნენ. ერთ-ერთ ეპიზოდში ტულუშს შეეძლო წინ გაეყვანა თავისი გუნდი, მაგრამ ჩინებულად ითამაშა ქანთარიამ.

უფრო დაიძაბა შეხვედრა მეორე ნახევარში, მასპინძლები თავიდანვე დაეუფლნენ უპირატესობას, მაგრამ მისი ანგარიშში ასახვა მათ ვერ შეძლეს. უგრელიძის გამოსვლამ უფრო გაამწვავა „გურიის“ შეტევები, მიუხედავად ამისა ანგარიში არ გახსნილა.

**ინგა ჩახვაშვილი,**
„ლელოს“ სპეც. კორ.

**„მერცხალი“ (ოზურგეთი) — „მზიური“ (გალი) 4:1 (1:0)**

ოზურგეთი. ცენტრალური სტადიონი. 1 ივნისი.

„მერცხალი“: ზოიძე, ცერცვაძე (ბარამიძე), ათუაშვილი, მჟავანაძე, კალატოზიშვილი (ბერიშვილი), გელაძე, ამაშუკელი, კაშია, თეთრაძე, ნასუაშვილი, ჩიგოგიძე (კალანდაძე).

„მზიური“: მაკახარაშვილი (ა. ჩხეტია), ა. კვეკვესკირი, ფარფალია (ზ. კვეკვესკირი), დ. ლურწკაია, ხურცილავა, კ. კვეკვესკირი, პაპავა, ეთერია, დ. ჩხეტია, რ. ლურწკაია, ყოლბაია.

მსაჯები: რ. ტალიაშვილი, შ. ხანიაშვილი, ი. შალამბერიძე (ყველა — თბილისი).

**ოზურგეთელმა** ფეხბურთელებმა ჩემპიონატი კარგად დაიწყეს, მაგრამ ბოლო ხუთ ტურში მხოლოდ 4 ქულის აღება შეძლეს და გაიუარესეს სატურნირო მდგომარეობა. „მზიურთან“ მატჩში მათ ყველა ღონე უნდა ეხმარათ დაკარგულის ასანაზღაურებლად, ამიტომაც თამაში შეტევებით დაიწყეს, მაგრამ აშკარა უპირატესობის მიუხედავად ბურთი „მზიურის“ კარში მხოლოდ 27-ე წუთზე გავიდა, კაშიამ ძლიერი დარტყმით წინ გაიყვანა თავისი გუნდი — 1:0. მეორე ნახევარში სტუმრები გააქტიურდნენ და ეთერიამ 51-ე წუთზე აღადგინა წონასწორობა —1:1. თითქოს ამას ელოდნენო, მასპინძლებმა მთლიანად აიღეს ხელში თამაშის სადავეები. 63-ე წუთზე ჩიგოგიძემ, 69-ე წუთზე ნასუაშვილმა და 88-ე წუთზე კალანდაძემ კიდევ 3 ბურთი მოათავსეს მოწინააღმდეგის კარში და გაიმარჯვეს— 4:1.

**ნუგზარ ახათიანი.**

**„ცხუმი“ (სოხუმი) — „კოლხეთი-1913“ (ფოთი) 4:0 (1:0).**

სოხუმი. ცენტრალური სტადიონი. 1 ივნისი.

„ცხუმი“: ბენიძე, ჩიხრაძე, ფარულავა, დოჩია (გელენავა), მალანია, ინალიშვილი (სიჭინავა), ჯიშკარიანი, პაპასკირი, პაპავა, გოგრიჭიანი, გაბესკირია (კურგენიანი).

„კოლხეთი-1913“: გვასალია, კაკაჩია, ქაჯაია, გიორგაძე, გიგატაძე (ჭყონია), ბაჯალაძე, თოფურია, დ. მახარაძე (თიბილაშვილი), ინიაშვილი, თვარაძე, აბრამიდისი.

მსაჯები: ჯ. წერეთელი, შ. ფოლადაშვილი, ე. გვარამაძე (ყველა— რუსთავი).

გააფრთხილეს ზ. ინიაშვილი.

**„ცხუმის“** მოთამაშეები მთლიანად ფლობდნენ ტერიტორიულ უპირატესობას, მაგრამ პირველ ნახევარში მხოლოდ ერთხელ შეძლეს გოლის გატანა (ინიაშვილი). მეორე ტაიმი ასევე მასპინძელთა სრული უპირატესობით მიმდინარეობდა, ფოთელთა კარში 54-ე და 72-ე წუთებზე ორი 11-მეტრიანი დაინიშნა და მალანიამ ორივეჯერ ზუსტად შეძლო მისი რეალიზება, ბოლო გოლი კი 74-ე წუთზე შორიდან უძლიერესი დარტყმით კვლავ ინიაშვილმა გაიტანა — 4:0.

**თენგიზ პაპკორია,**
„ლელოს“ კორ.

**„კოლხეთი“ (ხობი) — „გორდა“ (რუსთავი) 3:1 (1:1).**

ხობი. ცენტრალური სტადიონი. 1 ივნისი.

„კოლხეთი“: ბერაძე, ჯეჯელავა, კაციტაძე, ხურცილავა, სიჭინავა, მამფორია, ბაკურაძე (ფარფალია), რუხაძე, გვახალია (დოლბაია), თევზაძე, ჭიჭინაძე (ლატარია).

„გორდა“: მეშკოვი, ფირცხალავა, ავაქიანი, კუდინოვი, ქასრაშვილი, კილასონია, ტ. კაპანაძე, მეტრეველი, ა. კაპანაძე, ფანცულაია (დიმიტრაშვილი), მიქაშავიძე (წიკლაური).

მსაჯები: თ. ლორთქიფანიძე, ა. შილაკაძე, შ. თომაშვილი (სამივე — თბილისი).

**„გორდა“** ერთპიროვნულად ლიდერობს გათამაშებას, იგი როგორც შინ, ასევე სტუმრად, წარმატებით თამაშობს. ხობელებიც იშვიათად აგებენ საკუთარ მინდორზე, ამიტომაც ეს შეხვედრა ტურის ცენტრალურ მატჩად იქცა. პირველივე წუთებიდან ინიციატივას სტუმრები დაეუფლნენ, უკვე მე-3 წუთზე კუთხურიდან ჩამოწოდებულ ბურთს კარგად შეურჩია ადგილი მიქაშავიძემ და თავური დარტყმით გახსნა ანგარიში — 1:0. ორიოდე წუთის შემდეგ კარის აღების კარგი შესაძლებლობა გაუშვა ხელიდან ტ. კაპანაძემ. მასპინძლებმა შებოჭილად დაიწყეს მატჩი, მაგრამ თანდათან გააქტიურდნენ და კაციტაძემ 25-მეტრიდან ძლიერი დარტყმით გაათანაბრა ანგარიში — 1:1.

83-ე წუთზე ჯეჯელავასთან უხეში თამაშისათვის მსაჯმა 11-მეტრიანი დანიშნა, რომელიც კარგად გამოიყენა ბაკურაძემ — 2:1. თამაშის დამთავრებას არაფერი აკლდა, როცა იმავე ბაკურაძემ ძლიერი დარტყმით მესამედ აიღო „გორდას“ კარი — 3:1. ხობის „კოლხეთმა“ საგრძნობლად გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა.

**ნუგზარ ჟვანია,**
(„ლელოს“ საკ. კორ.).

**„სამგურალი“ (წყალტუბო) — „ამირანი“ (ოჩამჩირე)—1:0 (1:0).**

წყალტუბო. ცენტრალური სტადიონი. 1 ივნისი.

„სამგურალი“: მიქაძე, მუშკუდიანი (ბერაძე), წიქარიშვილი, მოსეშვილი, ვ. ფესტვენიძე, რ. იობიძე (ჩხაბერიძე), ცნობილაძე, ხუნდაძე (ჰ. იობიძე), ლ. ფესტვენიძე, გოგელიძე, ხარაბაძე.

„ამირანი“: მესხია, ბ. ჩხვირკია, ძალამიძე, შელია, ახვლედიანი, აფინდოპულო (თ. შამუგია), გოგოხია (მ. შამათავა), დ. კაკუბავა, ქობალია, ჭითანავა, გუჩუა (მ. კაკუბავა).

მსაჯები: ე. სილაგავა, თ. კურტანიძე (ორივე — თბილისი), ა. ნიშნიანიძე (ტყიბული).

გააფრთხილეს ძალამიძე („ამირანი“) და მოსეშვილი („სამგურალი“).

მატჩი დაწყებისთანავე დროებით შეწყდა: ფეხბურთელებმა და მაყურებლებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს თბილისში საბაგირო გზაზე მომხდარ ავარიაში დაღუპულთა ხსოვნას.

აუტსაიდერთა ჯგუფის წარმომადგენელთა შეხვედრა ნაკლებ ინტერესს იწვევს ხოლმე, მაგრამ „სამგურალისა“ და „ამირანის“ თამაში გამონაკლისი იყო. პირველსავე წუთზე გოგელიძემ და ხარაბაძემ ვერ გამოიყენეს კარის აღების შესაძლებლობა, შემდეგ ხუნდაძეს ჰქონდა პერსპექტიული გაგრძელების საშუალება. პირველ ტაიმში ოჩამჩირელი ფეხბურთელები უმთავრესად კონტრშეტევების იმედად იყვნენ. თამაშშიც იგრძნობოდა, რომ სტუმრები ერთ ქულაზეც ყაბულს იყვნენ, თუმცა მათი კონტრიერიშებიც სახიფათო იყო. ჯერ დ. კაკუბავამ ვერ მოუძებნა სათანადო გაგრძელება ქობალიას მახვილგონივრულ პასს, შემდეგ ქობალიას უძლიერესი დარტყმა მოიგერია მიქაძემ, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო იყო მინდორზე.

წყალტუბოელებმა 36-ე წუთზე ანგარიში გახსნეს: გ. ხარაბაძის ფლანგიდან ჩამოწოდებული ბურთი კარგად მიიღო წიქარიშვილმა, ძლიერად დაარტყა და სტუმართა მცველისგან ასხლეტილი ბურთი მიუწვდომელი აღმოჩნდა მესხიასათვის — 1:0. მეორე ტაიმი ანალოგიური სურათით დაიწყო, „სამგურალი“ შეტევას შეტევაზე ახორციელებდა, მაგრამ ხარაბაძის, ვ. ფესტვენიძისა და გოგელიძის მცდელობას, გაეზარდათ ანგარიში, შედეგი არ მოჰყოლია.

ოჩამჩირელი ფეხბურთელები ბოლომდე არ შეურიგდნენ მარცხს, სახიფათო შეტევები განახორციელეს ჭითანავამ, თ. შამუგიამ, ბ. ჩხვირკიამ, მაგრამ ზუსტად თამაშობდა მასპინძელთა მეკარე. საბოლოოდ „სამგურალმა“ გაიმარჯვა და განიმტკიცა ჯგუფში დარჩენის შანსი. უნდა ითქვას, რომ მსაჯებმა უშეცდომოდ ჩაატარეს შეხვედრა და უბრალო უკმაყოფილებაც არ ყოფილა არც ფეხბურთელთა და არც მაყურებელთა მხრიდან.

**ლევან ჯავახიშვილი.**

**„ქუთაისი“ (ქუთაისი) — „ივერია„ (ხაშური) 0:1 (0:0).**

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 1 ივნისი.

„ქუთაისი“: ქორიძე, შავგულიძე (დვალიშვილი), თორლაშვილი, ბზიკაძე, გ. თევზაძე, ნადირაძე, პაიკიძე, ფაიქიძე, შენგელია, დარასელია, შავდათუაშვილი (ჯანაშია).

„ივერია“: მურადაშვილი, ჯანგურიძე, კ. ნოზაძე, ამბიძე, ლაცაბიძე, ხარაზიშვილი, აბაზაძე, პოზოიანი (ქიმერიძე), ბ. თევზაძე, მაღრაძე, (მღვდელაძე), ტიტვინიძე (რ. ნოზაძე).

მსაჯები: ო. გუნთაძე, უ. ფურცელაძე, ვ. ეჯიბია (სამივე — თბილისი).

**ქუთაისს** ელვის სისწრაფით მოედო ცნობა თბილისში დატრიალებული ტრაგედიის შესახებ. როგორც ყოველთვის, იყო იმედი, — იქნებ მცდარია, მაგრამ, სამწუხაროდ, ცნობა რეალობა იყო. მატჩი პირველსავე წუთზე შეწყდა. მაყურებლებმა, მსაჯებმა და ფეხბურთელებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს დაღუპულთა ხსოვნას.

რაც შეეხება თვით მატჩს, იგი საკმაოდ უინტერესოდ წარიმართა, მაგრამ ყველაფერს პაპანაქება სიცხეს ნუ დავაბრალებთ. მასპინძლები ზედმეტად თვითდაჯერებულად გამოიყურებოდნენ, ხოლო ხაშურელები საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნავდნენ. პირველ ტაიმში საგოლე მომენტი არც ერთ მხარეს არ შეუქმნია.

მეორე ტაიმი ქუთაისელებმა გაცილებით აქტიურად დაიწყეს და 49-ე წუთზე დარასელიას დარტყმული ბურთი ძელმა მოიგერია.

სახიფათო მომენტები ზედიზედ იქმნებოდა „ივერიის“ კართან, მაგრამ მეკარე მურადაშვილისა და მცველების „წყალობით“ ქუთაისელებმა უპირატესობის რეალიზება ვერ მოახერხეს.

მე-80 წუთზე ხაშურელმა ტიტვინიძემ შესანიშნავი კომბინაცია წამოიწყო და რამდენიმე სვლის შემდეგ თავად გაიტანა გოლი. დარჩენილ დროში მასპინძელთა ცდას, ეხსნათ მატჩი, შედეგი არ მოჰყოლია. „ივერიამ“ საკმაოდ სენსაციური გამარჯვება მოიპოვა და ქუთაისელმა მაყურებელმა გულთბილი ტაშით გააცილა სტუმართა გუნდი, რომელმაც კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ეროვნული ჩემპიონატის ყველა მატჩს მონდომება და მობილიზება სჭირდება.

**თამაზ კოლხიდელი,**
„ლელოს“ საკ. კორ.

**„ოდიში“ (ზუგდიდი) — „ლიახვი“ (ცხინვალი) 2:0 (1:0)**

ზუგდიდი. ცენტრალური სტადიონი. 1 ივნისი.

„ოდიში“: ჰანტურია, კვიტატიანი, მაქაცარია (სართანია), თუთბერიძე, ჯავაშვილი, ნადარეიშვილი, მალანია (გოგოხია), შეროზია (ტობუა), ბიგვავა, თევზაძე, აფაქიძე.

„ლიახვი“: ა. სანაკოევი, ზვიაგინცევი, მიხაილოვი, ი. გობოზოვი, ვ. გობოზოვი, გასიევი (ქოქოევი), ძაგოევი, მარღიევი, მ. სანაკოევი, ვ. ხუბეჯიშვილი, ა. ჯიოევი.

მსაჯები: ა. ჯინჭარაძე, ა. კიკაბიძე (ოზურგეთი), მ. მირცხულავა (ლანჩხუთი).

გოლები: მაქაცარია — 2 (ერთი 11-მეტრიანით).

გააფრთხილეს: თუთბერიძე, თევზაძე.

## გათამაშების ცხრილი

უმაღლესი ლიგა — მდგომარეობა 3 ივნისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „გორდა“ (რუსთავი) | 12 | 9 | 1 | 2 | 27-9 | 28 |
| „გურია“ (ლანჩხუთი) | 12 | 8 | 1 | 3 | 22-4 | 25 |
| „იბერია“ (თბილისი) | 11 | 7 | 3 | 1 | 32-7 | 24 |
| „ქუთაისი“ (ქუთაისი) | 11 | 7 | 1 | 3 | 16-11 | 22 |
| „ბათუმი“ (ბათუმი) | 11 | 6 | 4 | 1 | 14-8 | 22 |
| „კოლხეთი“ (ხობი) | 12 | 6 | 3 | 3 | 19-11 | 21 |
| „ცხუმი“ (სოხუმი) | 12 | 5 | 4 | 3 | 18-11 | 19 |
| „მერცხალი“ (ოზურგეთი) | 12 | 5 | 4 | 3 | 15-14 | 19 |
| „სანავარდო“ (სამტრედია) | 10 | 5 | 3 | 2 | 12-11 | 18 |
| „კოლხეთი-1913“ (ფოთი) | 12 | 5 | 3 | 4 | 15-15 | 18 |
| „ივერია“ (ხაშური) | 12 | 5 | 0 | 7 | 10-20 | 15 |
| „დილა“ (გორი) | 11 | 4 | 2 | 5 | 17-15 | 14 |
| „სამგურალი“ (წყალტუბო) | 12 | 3 | 3 | 6 | 12-16 | 12 |
| „ოდიში“ (ზუგდიდი) | 12 | 2 | 5 | 5 | 10-11 | 11 |
| „ამირანი“ (ოჩამჩირე) | 12 | 2 | 2 | 8 | 9-18 | 8 |
| „მზიური“ (გალი) | 11 | 2 | 2 | 7 | 8-23 | 8 |
| „შევარდენი-1906“ (თბილისი) | 11 | 2 | 1 | 8 | 9-29 | 7 |
| „ლიახვი“ (ცხინვალი) | 12 | 0 | 0 | 12 | 7-44 | 0 |

## „ქართული ფეხბურთი“ № 6

**ეროვნული** ნაკრებების დონეზე საქართველოს და ლიტვის გუნდების შეხვედრით ახალი ერა იწყება ორივე ქვეყნის ფეხბურთის ისტორიაში. ამ ღირსსახსოვარ მოვლენას თითქმის მთელი ნომერი მიუძღვნა ჩვენმა ახალმა საფეხბურთო გაზეთმა.

„ქართული ფეხბურთის“ მე-6 ნომერი დაწვრილებით მიმოიხილავს საქართველოსა და ლიტვის ეროვნული ნაკრებების ყველა მნიშვნელოვან ფაქტს და ყურადღებას ამახვილებს იმ რეზონანსზე, რაც საქართველოში ლიტველთა სტუმრობამ გამოიწვია. გაზეთში დაბეჭდილია აგრეთვე საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატთან დაკავშირებული მასალები და უცხოეთის ფეხბურთის ამბები.

## ერთი თვე — ტელევიზორებთან!

**მოახლოვდა** მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატი, კიდევ რამდენიმე დღე და პარასკევს სპორტის მოყვარულები მივუსხდებით ტელევიზორებს, ამ დღეს გადასცემენ XIV მსოფლიო ჩემპიონატის პირველ მატჩს არგენტინისა და კამერუნის გუნდებს შორის ქალაქ მილანიდან და დაიწყება ერთთვიანი საფეხბურთო მარათონი, რომელიც გულგრილს არ დატოვებს არავის, ვინც კი ამ თამაშითაა გატაცებული, ზუსტად ერთი თვე ტელევიზორებთან ფრიად სასიამოვნო საფეხბურთო „ტყვეობა“ გველის.

საბჭოთა კავშირი, როგორც იქნა, შეუერთდა იმ ნორმალური სახელმწიფოების რიცხვს, რომლებიც თავიანთ ქვეშევრდომთათვის არ იშურებენ არაფერს, რათა არ დააკლონ ისეთი საგანგებოდ რჩეული, ნუგბარი სანახაობა, როგორიც არის მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში. გადასცემენ შეჯიბრების უკლებლივ ყველა შეხვედრას და ყველაფერი ეს, თურმე, არც ისე კატასტროფული თანხა ღირს —დაახლოებით 1 მილიონი დოლარი. ჩვენ კი წელთა და წელთა განმავლობაში სხვა სიამოვნებებთან ერთად მოკლებული ვიყავით ამგვარ სპორტულ ფეიერვერკს (გაიხსენეთ ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალური მატჩი).

უდიდესი საფეხბურთო შეჯიბრების ტელეტრანსლაციასთან დაკავშირებით გთავაზობთ სსრ კავშირის სახელმწიფო ტელერადიოს სპორტულ გადაცემათა მთავარი რედაქციის ხელმძღვანელის ალექსანდრე ივანიცკის ინტერვიუს.

წარსულში ცნობილმა მოჭიდავემ, მრავალგზის ოლიმპიურმა და მსოფლიო ჩემპიონმა გვამცნო, რომ ტელემაყურებლები ნახავენ ყველაფერს, რაც კი მსოფლიო ჩემპიონატზე მოხდება. გადაცემათა საერთო სქემა ასეთია: 19 საათსა და 45 წუთიდან (დრო თბილისისაა) დაიწყება ყოველი ტურის პირველი მატჩის პირდაპირი გადაცემა, ხოლო 23 საათსა და 45 წუთიდან — მომდევნოსი. მეორე დღეს გადასცემენ ორივე შეხვედრის მეორე ტაიმებს, ან ყველაზე საინტერესო მატჩების მთლიან მსვლელობას და თუ ჩემპიონატზე მესამე მატჩი გაიმართა — ამ შეხვედრასაც. ამავე სქემით გადასცემს თამაშების მსვლელობას რადიოპროგრამა „მაიაკი“, ოღონდ „მაიაკი“ გადასცემს მატჩების ბოლო 15 წუთის მსვლელობას. რაც შეეხება ნახევარფინალებსა და ფინალებს, ეს თამაშები გადაიცემა მთლიანად.

საბჭოთა რადიო და ტელევიზია იტალიაში მივლინებით აგზავნის— 13 სპეციალისტს, მათ შორის არიან რედაქტორები, ტექნიკოსები, თარჯიმნები და 5 კომენტატორი: ვ. მასლაჩენკო, ვ. პერეტურინი, გ. ორლოვი, ვ. ნოვიცკი და ე. მაიოროვი. უშუალო რეპორტაჟების გარდა ეს ბრიგადა იმუშავებს „ვრემიას“, „120 წუთის“, „ვზგლიადისა“ და სხვა პროგრამათა მონტაჟებზე. საინტერესოა, რომ ტრანსლაცია უშუალოდ თამაშამდე 12 წუთით ადრე დაიწყება. ეს დრო საჭიროა საიმისოდ, რომ კომენტატორმა ფეხბურთის მოყვარულები შეიყვანოს ჩემპიონატის კონკრეტული მომენტის ვითარებაში, გაარკვიოს იგი უშუალოდ მატჩის პერიპეტიებში. გარდა ამისა, იტალიის ტელევიზიამ მოამზადა ჩანახატები ყოველ იმ ქალაქზე, სადაც შეხვედრები გაიმართება. მათ აჩვენებენ ამ 12 წუთის განმავლობაში, კომენტატორები მაყურებლებს გააცნობენ გუნდებს, მწვრთნელებს და ა. შ.

ტაიმებს შორის შესვენებისას ტელემაყურებლები იხილავენ ე. წ. „ტელებიმს“, სადაც გადასცემენ პირველი ტაიმის ყველაზე საინტერესო მომენტებს, ცნობილი სპეციალისტების მოსაზრებებს და, საერთოდ, ჩემპიონატის საინტერესო ანტურაჟს, თამაშების დამთავრების შემდეგ კი — ბლიც-ინტერვიუს მწვრთნელებთან, ფეხბურთელებთან, საინტერესო ადამიანებთან.

სულ მსოფლიო ჩემპიონატზე აკრედიტებულია სხვადასხვა ქვეყნის 108 კომენტატორი, საინტერესოა, რომ საკომენტატორო კაბინების განაწილება ხდება წილისყრით, ვისაც იღბალი აქვს, უკეთეს კაბინასაც იგი მიიღებს. საერთოდ კი ტელეგადაცემათა კაბინები იტალიის ყველა სტადიონზე საუკეთესო ადგილებზეა მოთავსებული.

ერთი სიტყვით, მსოფლიოს XIV საფეხბურთო ჩემპიონატი საერთაშორისო ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენაა, მას მთელი მსოფლიო მიადევნებს თვალს, მათ შორის ჩვენც, ვისაც ასე გვიყვარს ფეხბურთი.

# პოზიციას არ თმობენ

**მოჭადრაკე** ვაჟთა 50-ე რესპუბლიკურ ჩემპიონატზე ლიდერთა ჯგუფი ყოველი ტურის შემდეგ იცვლება. ეს შეჯიბრების დაძაბულობაზე და უშეღავათო ორთაბრძოლებზე მეტყველებს და ალბათ ასეც უნდა იყოს, ვინაიდან ჩემპიონატი ახალგაზრდული შემადგენლობისაა. არც ერთ მოჭადრაკეს არ სურს პოზიციების დათმობა და ენერგიას არ იშურებს რათა მაქსიმალურად გამოამჟღავნოს თავისი შესაძლებლობა. დაძაბული და საინტერესო გამოდგა VI ტურის შეხვედრები.

ალბათ მოულოდნელობად უნდა მივიჩნიოთ აუტსაიდერის კახა ხაბურზანიას გამარჯვება ერთ-ერთ ლიდერ იანის პოპოვთან. ეს ხაბურზანიას პირველი ქულაა ამ ჩემპიონატში. ერთპიროვნული ლიდერი ალექსანდრე დგებუაძე, ზედიზედ სამი გამარჯვების შემდეგ, დაუზავდა ოსტატ გია ბაღათუროვს.

შოთა კუპუხიძესა და გივი გოგიჩაიშვილის პარტიაში გათამაშდა ესპანური დაცვის ერთ-ერთი მწვავე ვარიანტი ე. წ. იანიშის გამბიტი. თეთრებმა დებიუტი არასწორად გაითამაშეს და მეტოქემ ხელთ იგდო ინიციატივა, რაც მან სრულად გამოიყენა და ეფექტური კომბინაციით გაიმარჯვა.

ამ ტურის დანარჩენი პარტიების შედეგები ასეთია: ხოფერია—ჭურღულია 1:0, შალამბერიძე—კაკაბაძე 1:0, იაშვილი—ტაბატაძე 1:0, სიჭინავა—კეკელიძე 0,5:0,5, მანაგაძე—სუპატაშვილი 0,5:0,5.

6 ტურის შემდეგ 5 ქულით ლიდერობს ალექსანდრე დგებუაძე, შემდეგ მოდიან: გივი გოგიჩაიშვილი (ორივე-თბილისი) — 4(1), რომან სიჭინავა (სენაკი) — 4, ნუკრი მანაგაძე (ქუთაისი), გია ბაღათუროვი (თბილისი) — 3,5-3,5.

**ვასილ ვაშაკიძე.**

საჭადრაკო კომპოზიცია ● ხელმძღვანელი — ვაჟა ნეიძე

# ძნელი თუ ადვილი?

ჩვენს რუბრიკას მკითხველთა ყურადღება არ აკლია. ისინი უმალ ეხმაურებიან დაბეჭდილ ინფორმაციას, თუმცა უნდა ითქვას, რომ წერილების უმეტესობა ამოხსნებს შეიცავს. პერიოდულად ყალიბდება ამომხსნელი-თანამშრომლების ჯგუფები, რომლებიც ყველაზე ადრე ხსნიან და გზავნიან პასუხს. ზოგიერთი ამომხსნელის „ცეცხლი“ ხანდახან ნელდება, შემდეგ კი ისევ ძლიერდება, რაც ალბათ იმითაც აიხსნება, რომ ზოგის ძნელად მისაგნები კომპოზიცია იტაცებს, მეორეს კი იოლად გადაწყვეტა ანალისებს. ამიტომაც ბუნებრივია, რომ დაბეჭდილი ამოცანები ყველას ერთნაირად არ იზიდავს. კარგი იქნება, თუ მკითხველები მოგვაწვდიან თავის აზრს ამის შესახებ.

დღეს ამოსახსნელად გთავაზობთ ორ ამოცანას.

მოგვწერეთ, გაგიჭირდათ თუ არა მათი ამოხსნა.

**ფ. ბიბოლდი, 1961**



შამათი 3 სვლაში

**ჯ. როსე, 1976**



შამათი 3 სვლაში

## ამოხსნები

„ლელოს“ 18 თებერვლის ნომერში დაბეჭდილი ი. კრიხელის და ვ. დადიანიძის ექვსსვლიანი ნადიშამათის მეორე ამოხსნა: 1. მფd5 მg3 2. მფc4 მe2 3. მფb3 მფd2! 4. მფa2 მფc1 5. მფa1 მფd4 6. ეa2 მb3X

12 მარტის გამოშვებაში დასტამბული ჯ. ებოტის ორსვლიანის ამოხსნაა 1. ეc8! ხოლო ბანკის „ღამის სტუმრის“ მიერ დაუძლეველი ოთხსვლიანის (ავტორი ი. კოსი): 1. ლd2! ეh8 2. ლa5+! მფb8 3. ლe5+!, 1. ...ეf8 2. ლd1! ეh8 3. ლa1+.

25 მარტის გამოშვების ამოცანების ამოხსნა — ა. გულიაევი: I. 1. კc2! II. 1. ეh6! რ. ტაკიძე: 1. მde6!

1 აპრილის გამოშვებაში ნ. პლაკსინის სახუმარო ამოცანა შემდეგნაირად იხსნება: მცდარი კვალია, თუ კუს დავსვამთ d7-ზე და ვითამაშებთ 1. ეe8X! ამ შემთხვევაში შავებს ვერ მოვუძებნით უკანასკნელ სვლას (რაც კომპოზიციის წესებით დაუშვებელია!). მართლაც, მაშინ მეფე ვერ ითამაშებდა f8 უჯრაზე; ხოლო თუ დავუშვებთ, რომ ითამაშეს პაიკებმა (c7-c6 ან c7:d6), მაშინ გამორიცხულია თეთრი მეფის უკანასკნელ ჰორიზონტალზე მოხვედრა. თეთრი კუს სხვა ნებისმიერ უჯრაზე დასმა კი შამათს არ იძლევა. ამიტომ დავალების შესრულება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ f6 უჯრაზე შავ კუს დავსვამთ და შამათს თეთრ მეფეს გამოვუცხადებთ: 1. ...g7—g6X!

22 აპრილის გამოშვებაში დაბეჭდილი ვ. მარინის ორსვლიანის ამოხსნა: 1. ლb6X!

რედაქციას ამოხსნების დიდი ფოსტა დაუგროვდა. ვაქვეყნებთ იმათ გვარებს, ვინც აქტიურად ითანამშრომლა და თავი გამოიჩინა ამოხსნაში. გ. ლაცაბიძე (ზნაური), ნინო და თ. მოსიაშვილები (ვაყა, ხაშურის რ.), მ. იორდანიშვილი (მუხრანი, მცხეთის რ), გ. ელიოსიძე (ბორჯომი), ხატია ჩიქობავა (სენაკი), მაია კაცაძე (ვაკიჯვარი, ოზურგეთის რ.), ვ. წიკლაური (კოჯორი), ო. მინდიაშვილი (ენისელი, ყვარლის რ.), ა. მარგველაშვილი (მუხრანი, წყალტუბოს რ.), ზ. ქველიაშვილი, მ. ყოჩიაშვილი (რუსთავი), შ. სულაძე, ვ. დიაკონაშვილი (ახალციხე), მ. და ე. ბუცხრიკიძეები, მ. და ა. ჩაფიჩაძეები (თერჯოლა), მ. კიკნაძე, გ. ვერულიძე (ქუთაისი), მ. და დ. ბარდაველიძეები, პ. გიორგაძე (ბარდუბანი, თერჯოლის რ.), ნ. და რ. კახიძეები, მ. დოლიძე (ბათუმი), ზ. ფავლენიშვილი, ლ. რამიშვილი, ე. ცხვედაძე, ა. ღირსიაშვილი, ვ. შავგულიძე (თბილისი).

ისინი იტალიაში გამოვლენ

# ირლანდია

**ირლანდიური** ფეხბურთი ამჟამად აღმავლობის გზაზეა, რასაც ფეხბურთის სპეციალისტები გუნდში წარსულში ცნობილი ფეხბურთელის, 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონის ჯეკ ჩარლტონის მოსვლას უკავშირებენ. ახალმა უფროსმა მწვრთნელმა ნაკრები 1986 წელს ჩაიბარა და უკვე ერთი წლის შემდეგ ირლანდიელები ევროპის ჩემპიონატის ფინალური ტურნირის მონაწილეთა შორის აღმოჩნდნენ. მოვლენების შემდგომმა განვითარებამ დაამტკიცა, რომ ეს არ იყო შემთხვევითი წარმატება, ირლანდიელებმა მყარად მოიკიდეს ფეხი ევროპის საუკეთესო გუნდებს შორის. ევროპის ჩემპიონატზე, რომელიც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გაიმართა, ირლანდიელებს სულ ცოტა დააკლდათ უძლიერესთა ოთხეულში მოსახვედრად. ფეხბურთის მოყვარულებს, ალბათ, ახსოვთ, რომ ჰოლანდიელებმა მხოლოდ მატჩის ბოლო წუთებზე შეძლეს „მწვანე კუნძულის“ ნაკრების კარში გადამწყვეტი ბურთის გატანა და ნახევარფინალში გასვლა.

ასევე დამაჯერებლად იასპარეზეს ირლანდიელებმა 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში. ისინი მხოლოდ პირველ მატჩში დამარცხდნენ ესპანელებთან (0:2). დანარჩენი შვიდი მატჩი ირლანდიელებმა ასე დაამთავრეს: ჩრ. ირლანდია — ირლანდია 0:0, უნგრეთი — ირლანდია 0:0, ირლანდია — ესპანეთი 1:0, ირლანდია — მალტა 2:0, ირლანდია — უნგრეთი 2:0, ირლანდია — ჩრ. ირლანდია 3:0, მალტა—ირლანდია 0:2. შედეგი, მართლაც, შთამბეჭდავია, ამის მიღწევა კი ჯეკ ჩარლტონისთვის ადვილი არ იყო. თუნდაც ის ფაქტი რამდენს ნიშნავს, რომ ნაკრების მოთამაშეები, უკლებლივ ყველა, უცხოეთის გუნდებში თამაშობენ და უფროს მწვრთნელს არაერთხელ მოუწია მოგზაურობა, რათა ცალკეული ფეხბურთელების მზადყოფნა შეემოწმებინა.

გავეცნოთ მათ, ვინც იტალიაში ითამაშებენ: **მეკარეები** — პეტ ბონერი (დაიბადა 1960 წლის 24 მაისს, თამაშობს შოტლანდიის „სელტიკში“), ჯერი პეიტონი (20.05.56, „ბურნემუტი“, ინგლისი); **მცველები** — კრის მორისი (24.12.63, „სელტიკი“ შოტლანდია), კრის ჰუტონი (11.12.58, „ტოტენჰემ ჰოტსპური“, ინგლისი), სტივენ სტაუნტონი (19.01.69, „ლივერპული“, ინგლისი), მიკ მაკკარტი (7.02.69, „ლუტონ თაუნი“, ინგლისი), კევინ მორანი (29.04.56, „ბლექბერნი“, ინგლისი), დევიდ ო'ლირი (2.05.58, „არსენალი“, ინგლისი), პოლ მაკგრათი (4.12.59, „ასტონ ვილა“, ინგლისი); **ნახევარმცველები** — რონი იულენი (25.09.61, „ლივერპული“, ინგლისი), რეი ჰაფთონი (9.01.62, „ლივერპული“, ინგლისი), ენდი თაუნსენდი (23.06.63, „ნორვიჩი“, ინგლისი), კევინ შიდი (21.10.59, „ევერტონი“, ინგლისი), ჯონ შერიდანი (1.10.64, „შეფილდი“, ინგლისი), ჯონ ბერნი (1.02.61, „ჰავრი“, საფრანგეთი), გარი უოდოკი (17.03.62, „მილუოლი“, ინგლისი); **თავდამსხმელები** — დევიდ კელი (25.11.65, „ვესტ ჰემი“, ინგლისი), ტონი კასკარინო (1.09.62, „ასტონ ვილა“, ინგლისი), ჯონ ოლდრიჯი (18.09.58, „რეალ სოსიედადი“, ესპანეთი), ფრენკ სტეპლტონი (10.07.56, „ბლექბერნი“, ინგლისი), ნაილ ქუინი (6.10.66, „მანჩესტერ სიტი“, ინგლისი), ბერნი სლევენი (13.11.60, „მიდლსბრო“, ინგლისი).

ჩარლტონის აზრით ნაკრების მთავარი პრობლემა სათადარიგოთა „მოკლე სკამია“. თითოეული მოთამაშის დაშავების შემთხვევაში გუნდს ექმნება სერიოზული საფრთხე იმისა, თუ როგორ გააკეთოს სრულფასოვანი შეცვლა. „კმაყოფილი ვარ მოთამაშეთა შერჩევით, — ამბობს იგი, — და ღმერთს მხოლოდ იმას ვთხოვ, რომ ისინი დაიფაროს ტრავმებისგან“.

უფროსმა მწვრთნელმა შეძლო თავისი ფეხბურთელების შესაძლებლობათა მაქსიმალურად გამოყენება. გუნდი, შეიძლება ითქვას, ყველაზე ასაკოვანია მსოფლიო ჩემპინატის ფინალისტთა შორის და მის შემადგენლობაში არ არიან გამოჩენილი ვარსკვლავები. ირლანდიელები, ჩვეულებრივ, ინგლისური ყაიდით თამაშობენ და ეს არც არის გასაკვირი, რადგანაც, როგორც ვნახეთ, ფეხბურთელები, ძირითადად, ინგლისურ კლუბებში გამოდიან. გუნდის სათამაშო ტაქტიკა, მწვრთნელის აზრით, საკმაოდ უბრალო, მაგრამ ეფექტურია: მოწინააღმდეგეს არ აძლევენ შეტევის განვითარების საშუალებას და ბურთის წართმევისთანავე ცდილობენ გრძელი გადაცემით გაიყვანონ თავდამსხმელები დასარტყმელ პოზიციებზე. ასეთმა ტაქტიკამ შესარჩევ თამაშებში გაამართლა და მოწინააღმდეგეებმა ვერაფერი გააწყვეს ამ, ერთი შეხედვით, ელემენტარულ ტაქტიკასთან.

წილისყრამ ირლანდიელებს, რა თქმა უნდა, ძლიერი მეტოქეები არგუნა. „როგორც მწვრთნელს, მერჩივნა თუნდაც ბრაზილიის ქვეჯგუფში მოვხვედრილიყავით შვეციის მაგივრად, მაგრამ წილისყრა წილისყრაა და აღარაფრის შეცვლა აღარ შეიძლება. ჩვენ გვაქვს კარგი ტაქტიკა, გვყავს კარგი ფეხბურთელები და კარგი გუნდი. პრინციპში შესაძლოა ყველას მოვუგოთ“.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ირლანდიელები პირველად მონაწილეობენ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში და შეეცდებიან მაქსიმალურად გამოიყენონ თავისი ყველა შესაძლებლობა.

ქვეჯგუფში მეტოქეებთან ირლანდიელებს ოფიციალური მატჩი არ უთამაშიათ ეგვიპტელებთან, სხვა მეტოქეებთან კი მათი შედეგები ასეთია:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. |
|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 10 | 2 | 3 | 5 | 9:16 |
| ჰოლანდია | 10 | 4 | 1 | 5 | 19:20 |

ირლანდიის საფეხბურთო ასოციაცია შეიქმნა 1921 წელს, ფიფა-ს წევრია 1923 წლიდან.

**გიორგი ქორქია.**

**კენჭისყრის შედეგები**

მოეწყო იუნიორ კალათბურთელთა ევროპის ჩემპიონატის კენჭისყრა. 21-29 ივლისს ესპანეთში გოგონათა გუნდები იასპარეზებენ. პირველ ჯგუფში გაერთიანდნენ: სსრ კავშირი, ბულგარეთი, პოლონეთი, საფრანგეთი, გფრ და რუმინეთი. მეორე ჯგუფში კი ითამაშებენ: ჩეხოსლოვაკია, იტალია, ესპანეთი, უნგრეთი, შვეცია და საბერძნეთი.

ვაჟთა ტურნირი გაიმართება ჰოლანდიაში 18-24 აგვისტოს.

## კალეიდოსკოპი

● **მშვიდობის** 43-ე ველორბოლაში გამარჯვებული ჩეხოსლოვაკიელი იან სვორადა თანამემამულეებმა ეროვნული გმირივით მიიღეს. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან საგზატკეცილო ველოსპორტი ამ ქვეყანაში ერთ-ერთი პოპულარული სახეობაა, ადგილობრივი ველოსიპედისტები კი ბოლო დროს საერთაშორისო შეჯიბრებებში არც ისე წარმატებით გამოდიან. მშვიდობის ველორბოლა სვორადამდე 18 წლის წინ ვლასტიმილ მორავეცს ჰქონდა მოგებული. მანამდე კი ჩეხოსლოვაკიას ამ რბოლის კიდევ ორი ჩემპიონი ჰყავდა— იან ვესელი (1949 წელს) და იან სმოლიკი (1964). ალბათ გასაგებია, როგორ იყვნენ ჩეხოსლოვაკიაში მონატრებულნი ამ გამარჯვებას.

● **ამერიკელმა** კონგრესმენმა უილიამ ხიუჯესმა (დემოკრატიული პარტია) წარმომადგენელთა პალატის იურიდიულ კომიტეტში განსახილველად შეიტანა დოპინგსაწინააღმდეგო კანონ-პროექტი. ამ კანონის თანახმად სასტიკად ისჯებიან ის მწვრთნელები და წარმომადგენლები, რომელთა სპორტსმენები აკრძალულ სტეროიდებს იყენებენ. ხიუჯესის წინადადებით ეს სტეროიდები უნდა გაუთანაბრდეს ფართოდ გავრცელებულ ნარკოტიკთა (მარიხუანა და კოკაინი) ჯგუფს. კანონი თავისუფლების აღკვეთას მოითხოვს არა მარტო დოპინგის გამოყენებისთვის, არამედ მისი შენახვისა და გასაღებისათვის.

● **ოლიმპიური** თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონმა კრივში ჰენრი მასკემ (გდრ) წარმატებით ჩაატარა თავისი პირველი ბრძოლა პროფესიულ რინგზე. ეს მოხდა ლონდონში „უემბლის“ სპორტის სასახლეში. შეხვედრის დაწყებიდან 15 წამის შემდეგ მასკემ ნოკდაუნში გაგზავნა მეტოქე — მექსიკელი ტეო არვიზო. ამის შემდეგ ინიციატივას კვლავ გერმანელი მოკრივე ფლობდა და ბრძოლის დაწყებიდან 55 წამის შემდეგ გამარჯვებას მიაღწია.

● **გერმანიის** დემოკრატიული რესპუბლიკის ხელბურთის ფედერაციის სპონსორი გახდა დასავლეთგერმანული სადაზღვევო ფირმა „ნიურნბერგერი“. ამიერიდან ხელბურთელთა ყველა საერთაშორისო თუ საშინაო ტურნირს ეს ორგანიზაცია დააფინანსებს.

● **ივნისში** პრესაში დაიბეჭდება კანადელი სპრინტერის ბენ ჯონსონის საქმესთან დაკავშირებული ყველა მასალა. ეს ცნობა გამოაქვეყნა საგამომძიებლო კომისიამ, რომელიც 91 დღე მუშაობდა და რომელმაც ამ ფაქტთან დაკავშირებით 119 მოწმე დაკითხა.

● **„სამი** ტრასის ტურნე“ — სათხილამურო სპორტის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტურნირი, რომელიც ყოველწლიურად ობერჰოფში (გდრ) იმართებოდა ამიერიდან აღარ ჩატარდება. მიზეზი შეჯიბრების ორგანიზატორთა უკიდურესად მძიმე ფინანსური მდგომარეობა გახლავთ.

● **ვენა.** პროფესიულ ველოსიპედისტთა მრავალდღიანმა რბოლამ „ჯირო დ' იტალიამ“ მცირე ხნით დატოვა აპენინების ნახევარკუნძული და ავსტრიის გზატკეცილებზე გადაინაცვლა. აქ, კლაგენფურტში ფინიში ჰქონდა მე-14 ეტაპს, რომელიც მოიგო ავსტრალიელმა ალან პეიპერმა. მეორე ადგილზე გავიდა ფრანგი პასკალ ბუასონი. ორივე ველოსიპედისტმა ძირითად ჯგუფს 13 წამი მოუგო.

პირად ჩათვლაში ლიდერი უცვლელი დარჩა. იტალიელი ჯანი ბუნიო თავის უახლოეს მეტოქესა და თანამემამულეს მარკო ჯოვანეტის 4 წუთითა და 16 წამით სჯობს. კიეველი ვლადიმერ პულნიკოვი საერთო ჩათვლაში მეექვსეა, რიგელი პიოტრ უგრიუმოვი — მერვე.

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა გ. ქორქია. კორექტორები მ. ძეძამიძე და ე. ხომერიკი.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

**ასკ-ის სტადიონი**

6 ივნისი

**ფეხბურთი**

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი

**II ჯგუფი**

**აღმოსავლეთის ქვეჯგუფი**

**„მრეტები“ (თბილისი) — „სამგორი“ (გარდაბანი)**

დასაწყისი 18 საათზე.

**ფეხბურთის გულშემატკივართა კლუბის წევრთა საყურადღებოდ!**

5-10 ივნისს 18-დან 20 საათამდე საქართველოს ეროვნულ სტადიონზე, კლუბის პრეზიდიუმის სამუშაო ოთახში ჩატარდება კლუბის წევრთა რეგისტრაცია. რეგისტრაციის დროს წარმოადგინეთ კლუბის წევრობის წიგნაკი.

**გულშემატკივართა კლუბის პრეზიდიუმი.**

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58,
„მერანი“ — 93-97-26, „ნართეგ“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით ხაგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08 779